ოქმი N 2

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა

კომისიის სხდომის

ქ. ხობი

2017 წლის 15 დეკემბერი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ვლადიმერ ქანთარია
2. ნიკოლოზ ვეკუა
3. იგორ გოგოლაძე
4. გოჩა ჯობავა
5. გენადი ქამანაია
6. აკაკი ხურცილავა
7. გოჩა სიჭინავა
8. შადიმან ჭილაია
9. კონსტანტინე ნასარაია
10. კახა ლატარია

სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ქანთარია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის განხილვა.

   (მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა.

   (მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ„ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 28-ე მუხლისა და საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესის შესაბამისად შექმნილი ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულება (ოქმს თან ერთვის), რომლის თანახმადაც მოქმედ ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიას შეეცვალა სახელწოდება. დებულების დეტალურად განხილვის შემდეგ, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი დებულების კომისიის დასკვნასთან ერთად საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა დასამტკიცებლად.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის ახალი შემადგენლობა:

1. ვლადიმერ ქანთარია
2. ნიკოლოზ ვეკუა
3. იგორ გოგოლაძე
4. გოჩა ჯობავა

5. გენადი ქამანაია
6. აკაკი ხურცილავა
7. როლანდ სერგია
8. მამუკა ჭოხონელიძე
9. გოჩა სიჭინავა
10. შადიმან ჭიალაია
11. კონსტანტინე ნასარაია
12. მერაბ ნადარაია
13. კახა ლატარია

წარმოდგენილი პროექტით კომისიის სახელწოდების ცვლილებიდან გამომდინარე, ხორციელდება კომისიის ახალი შემადგენლობის დამტკიცება. კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ძალადაკარგულად ცხადდება კომისიის შემადგენლობის 2017 წლის 22 ნოემბრის N 52 განკარგულება. განკარგულების პროექტის განხილვის შემდეგ, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი პროექტის კომისიის დასკვნასთან ერთად საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა დასამტკიცებლად.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ვლადიმერ ქანთარია